

ლადო პაპავა: „ხვალ მსოფლიო ვეღარ იქნება ისეთი, როგორც იყო რუსეთის აბრესიამდე“

მ.წ პროგრესული რუსული ინტელიგენციის დიდი ნაწილი სამარცხვინოდ ღუმს

გაზეთი “რეზონანსი” – 16 აგვისტო, № 222, 2008

უკვე ერთი კვირაა, რაც საქართველო არის რუსეთის აგრესიის ქვეშ. რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია სახეზეა. მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. ჩვენ კი სულ მალე, დღის წესრიგში დაგვიდგება ეკონომიკური ზარალის დათვლისა და განადგურებული ინფრასტრუქტურის, ქალაქებისა და სოფლების აღდგენის საკითხი. ამ თემებზე საუბარი ვთხოვეთ დამოუკიდებელ ექსპერტს ლადო პაპავას.

ლადო პაპავა: ამ დღეებში ქვეყანაში გლოვაა გამოცხადებული, აქედან გამომდინარე სანამ უშუალოდ საუბარს შევუდგებოდეთ, თქვენი გაზეთის საშუალებით სამძიმარს გამოვხატავ ყველა იმ ოჯახის მიმართ, რომლებმაც რუსეთის წინააღმდეგ სამამულო ომში დაკარგეს ახლობლები.

„რეზონანსი“: როგორ შეაფასებდით დღეს შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას?

ლ.პ.: ყველაზე მთავარი ის არის, რომ ომის დაწყების დღიდან ქვეყანაში ჩამოყალიბდა ეროვნული თანხმობა. ოპოზიციურმა პარტიებმა მხარი დაუჭირეს მთავრობას საქართველოს სუვერენიტეტისათვის

ბრძოლაში. ეს ყველაზე დიდი მიღწევაა, რადგანაც ჩვენმა მოსისხლე მტერმა რუსეთმა დაინახა, რომ საქართველოში არ არსებობს პრორუსული ძალა, რომ მთელი ერი გაერთიანდა აგრესორის წინააღმდეგ. რუსეთმა უნდა შეიგნოს, რომ საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ იქნება საქართველოს პრეზიდენტი და როგორი პარლამენტი და მთავრობა ეყოლება ქვეყანას ეს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მოქალაქეების გადასაწყვეტია. რატომ უნდა რუსეთი გაიხარებდა, რომ მოექცნა ახალი „სერგო ორჯონიკიძე“, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ მან ამის გაკეთება ვერ მოახერხა და ეს არის ჩვენი მნიშვნელოვანი გამარჯვება.

„რ“: თუ შეიძლება შევეხოთ საგარეო პოლიტიკურ ვითარებას, რომელიც შეიქმნა საქართველოს გარშემო.

ლ.პ: მე სრულიად ვიზიარებ ბევრი გამოცდილი ექსპერტის შეხედულებას, რომ ხვალ მსოფლიო ვეღარ იქნება ისეთი, როგორც იყო რუსეთის აგრესიამდე. საქართველოს გვერდში დაუდგნენ მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია აშშ, საფრანგეთი, პოლონეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი და უკრაინა. თითოეულმა ამ სახელმწიფომ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ გაჩლებულ კამპანიაში. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ევროკავშირის ოთხი სახელმწიფოს ლიტვა, ლატვია, ესტონეთისა და პოლონეთის პრეზიდენტების ერთობლივ განცხადებას. ასევე ეფექტის მომხდენი იყო ევროპის ხუთი სახელმწიფოს პრეზიდენტების ერთდროული ვიზიტი საქართველოში. რუსეთის აგრესიის შეჩერებაში მოლაპარაკებების მძიმე ტვირთი იკისრა ევროკავშირის მოქმედმა თავმჯდომარემ – საფრანგეთმა, ხოლო საბოლოო წერტილი დაუსვა აშშ. პრეზიდენტ ბუშის ცალმხრივად მიღებულმა გადაწყვეტილებამ, რომ საქართველოს აღმოუჩინოს სამხედრო-ჰუმანიტარული დახმარება იყო და რჩება ყველაზე წონიან სიტყვად, რადგანაც რუსებს ძალის გარდა სხვა ენა არ ესმის. მე დრამად ვარ დაინტერესებული, რომ დადებითად გადაწყდება საქართველოში ინტერნაციონალური სამშვიდობო მისიის განხორციელება,

რადგანაც დღეს არავის ეპარება ეჭვი, რომ რუსეთი არა მარტო კონფლიქტის მხარეა, არამედ არის აგრესორი, ოკუპანტი.

სამწუხაროდ ჩვენში ჯერ კიდევ მოიძებნება არაერთი „ურწმუნო თომა“, რომელიც თვლის, რომ რუსეთთან იყო და დღესაც არის შესაძლებელი საერთო ენის გამონახვა. ჩვენ ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა და ჯერ კიდევ მიმდინარეობს საქართველოს ტერიტორიაზე, რომ დაინგრა საქართველოს ქალაქები და სოფლები, რომ რუსის ჩეკმა თელავდა ქართულ მიწას, ხოლო ე.წ. პროგრესული რუსული ინტელიგენციის დიდი ნაწილი კი, უკეთეს შემთხვევაში სამარცხვინოდ სდუმდა. ალბათ ერთადერთი გამონაკლისი არის ოლეგ ბასილაშვილი, რომელმაც თავის მოქალაქეობრივი პოზიციის დაფიქსირებით ამხილა პუტინის ადმინისტრაციის დანაშაულებრივი ქმედება და ამით აჩვენა, რომ რუსულ ინტელიგენციაში შეიძლება ჯერ კიდევ იყოს ერთი-ორი წესიერი ადამიანი. აღშფოთებული ვარ ცნობილი რუსი ჟურნალისტის სვანიძის განცხადებით – გულდასაწყვეტია, რომ ეს უნამუსო პიროვნება ქართულ გვარს ატარებს...

„რ“: როგორ შეაფასებდით საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებას დსთ-დან გასვლის შესახებ?

დ.პ: დღეს დსთ-ში ყოფნა უბრალოდ ამორალურია. ზნეობრივად მიუღებელია ერთ მაგიდასთან ჯდომა რუსეთის ხელმძღვანელობასთან და თუნდაც ეკონომიკურ საკითხებზე მსჯელობა. დსთ-ს ფორმატი ვერ აღმოჩნდა იმის გარანტი, რომ აღეკვეთა რუსული სამხედრო აგრესია. დსთ-ს ფორმატი არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვისაც, რომ რუსეთს არ გამოეცხადებინა ორი წლის წინ საქართველოს მიმართ ეკონომიკური ემბარგო. დსთ უკვე დიდი ხანია გაკოტრებული ორგანიზაციაა.

„რ“: რით შეიძლება ეკონომიკურად დაზარალდეს საქართველო დსთ-დან გასვლის შემთხვევაში?

დ.პ: პრაქტიკულად არც არაფრით. ჯერ ერთი რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობა ისედაც შეწყვეტილია, ხოლო დსთ-ს სხვა წევრ სახელმწიფოებთან გვაქვს ორმხრივი შეთანხმებები. თუკი რომელიმე ჩვენს

სავაჭრო-ეკონომიკურ პარტნიორთან ასეთი ხელშეკრულება ჯერ-ჯერობით არ არის, მისი გაფორმება არ იქნება რთული საქართველოს მთავრობისათვის. რუსეთმა თავის ქმედებით თვითონვე დაშალა დსთ!

„რ“: რა შეიძლება ითქვას იმ ეკონომიკურ ზარალზე, რომელიც მიაღდა რუსეთის აგრესიის შედეგად საქართველოს?

ლ.პ: ამაზე ჯერ-ჯერობით საუბარი ნაადრევია. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩვენი პოლიტიკური ძალები გააკონტროლებენ კონფლიქტურ ტერიტორიებს, შესაძლებელი გახდება ზარალის ინვენტარიზაცია. მოდით ამ თემაზე ცოტა მოგვიანებით ვისაუბროთ. მანამ კი მინდა მიემართო ჩვენს საზოგადოებას. ის ერთიანობა, რომელიც გამოჩნდა ქვეყნის უმძიმეს წუთებში აუცილებლად შესანარჩუნებელია და მაშინ ჩვენი უცხოელი მეგობრებიც უფრო დიდი ხალისითა და მონდომებით დაგვიდგებიან გვერდზე და ვერც ვერანაირი მტერი დაგვამარცხებს!

ია აბულაშვილი